საგაზეთო ჩანართი

ინტელექტი

თვითმმართველობა და განვითარება

№1 / 2010

მუნიციპალიტეტების განვითარების სტრატეგიული გეგმები

ლევან გომაძე

2010 წლის პირველი თებერვლიდან ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა – ,,ინტელექტი" ახალი პროექტის: „ადგილობრივი თვითმმართველობების შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიანი განვითარებისათვის აჭარის რეგიონში" განხორციელება დაიწყო. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და აჭარის რეგიონის ხუთ მუნიციპალიტეტში (ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი,ხულო) 25 თვის განმავლობაში განხორციელდება.

სამიზნე მუნიციპალიტეტების სტრატეგიული განვითარების გეგმების შემუშავება; სამიზნე მუნიციპალიტეტების საინვესტიციო პასპორტების, მარკეტინგული და საინფორმაციო პოლიტიკის, სამოქმედო გეგმების, მუნიციპალური სერვისების სტანდარტების შემუშავება და მათი პრაქტიკული დანერგვა; თვითმმართველობის ორგანოების პოტენციალის გაძლიერება ტერიტორიების სოციალურ—ეკონომიკური განვითარების, მოსახლეობების დასაქმების და სიღარიბის დაძლევისათვის; თვითმმართველობის ორგანოების პოტენციალის გაძლიერება გადაწყვეტილების მიღებისათვის მუნიციპალურ ფინანსებთან დაკავშირებით, სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტური ფინანსური პოლიტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობა; თვითმმართველობის ორგანოების მიერ მოსახლეობის მომსახურების დონის ამაღლების ხელშეწყობა — პროექტის იმ მთავარ მიზნებს წარმოადგენს, რომლის განხორციელებისკენაც მიმართულია პროექტი და რომლის შესახებაც დაწვრილებით პროექტის დირექტორი ლევან გომაძე ისაუბრებს:

– ბატონო ლევან, რა წარმოადგენს პროექტის მთავარ მიზნებს და ამოცანებს და რა ფაქტორებმა განაპირობა მისი შემუშავების აუცილებლობა?

– 2006 წელი მნიშვნელოვანი წელი იყო თვითმმართველობის სისტემის რეფორმირების პროცესში. ამავე წლიდან კავშირ „ინტელექტის" მიერ შემუშავდა გრძელვადიანი პროგრამა, რომლის მიზანიც იყო: თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციონალური განვითარების ხელშეწყობა, მუნიციპალური ბიუჯეტების მიზნობრიობისა და ეფექტურობის, გამჭვირვალობის ამაღლება, მოსახლეობის მოთხოვნებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული საბიუჯეტო დაგეგმარების მეთოდების დანერგვა, თვითმმართველობის პროცესებში მოსახლეობის ჩართულობის დონის ამაღლება.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად, 2006 წლიდან დღემდე რეგიონის მუნიციპალიტეტებში განხორციელდა სამი პროექტი – „თემზე დაფუძნებული ანტიკორუფციული სამოქალაქო ინიციატივა", „თემი და არჩევნები", „თემთა მობილიზაციის ინიციატივა". ეს პროექტიც სწორედ ამ დიდი პროგრამის შემადგენელი ნაწილია.

როგორც განვლილმა პერიოდმა გვიჩვენა, თვითმმართველობის ახალი სისტემის ამოქმედების შემდეგ თავი იჩინა გარკვეულმა პრობლემებმა, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეაფერხოს რეალური თვითმმართველობის სისტემის ჩამოყალიბების პროცესი. კერძოდ:

– წარმოიქმნა მნიშვნელოვანი დისბალანსი თვითმმართველობის ორგანოების რესურსებსა და ვალდებულებებს შორის. სამიზნე მუნიციპალიტეტები იმყოფებიან სახელმწიფო დოტაციაზე. ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული გამოთანაბრებითი ტრანსფერების მოცულობა მცირეა და არ არის საკმარისი ადგილებზე არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად. აღნიშნული მდგომარეობა მნიშვნელოვნად ზღუდავს თვითმმართველობის ორგანოების შესაძლებლობებს – დაკმაყოფილოს მოსახლეობის მოთხოვნები და საჭიროებები;

– სამიზნე მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარების დონე დაბალია. მუნიციპალიტეტებს არ გააჩნიათ საკუთარი შემოსავლები, რაც მათ აიძულებს ცენტრიდან მიღებულ ფინანსურ რესურსებზე დამოკიდებულებას. არ არსებობს ჩამოყალიბებული და გაწერილი გეგმები ტერიტორიების ეკონომიკური განვითარებისათვის, რაც ადგილობრივი ბიუჯეტების ზრდას, დასაქმების დონის ამაღლებას და სიღარიბის პრობლემის დაძლევას შეუწყობდა ხელს;

– არაეფექტურია ბიუჯეტების დაგეგმარების მეთოდები. ადგილობრივი ბიუჯეტების დაგეგმარება ნაკლებად არის ორიენტირებული განვითარებაზე და გააჩნია მხოლოდ „ხარჯების აღრიცხვის" ფუნქცია. არ ხორციელდება ბიუჯეტით დაფინანსებული პროგრამების შედეგიანობის მონიტორინგი;

– ვერ ჩამოყალიბდა თვითმმართველობის ორგანოების მიერ მოსახლეობის მომსახურების სისტემები. არც ერთ მუნიციპალიტეტში არ არსებობს მომსახურების ჩამოყალიბებული სტანდარტები და გაწერილი პროცედურები. ხშირ შემთხვევაში მოსახლეობას და ბიზნესსექტორს უწევს დიდი დროის დახარჯვა საჭირო ცნობების, დოკუმენტების, ნებართვების, ლიცენზიების მისაღებად. ასევე ცალკეულ ჩინოვნიკთან საკითხების ინდივიდუალურად შეთანხმება.

აღნიშნული მდგომარეობა ქმნის მნიშვნელოვან პრობლემებს როგორც ქვედა დონეზე – მოსახლეობისათვის, ასევე ზედა დონეებზეც – მუნიციპალურ, რეგიონალურ და სახელმწიფო დონეზე. მოსახლეობა ვერ იღებს თვითმმართველობის ორგანოებიდან მისთვის აუცილებელ სერვისებს; თვითმმართველობის ორგანოები მოსახლეობაში აღიქმება სტრუქტურებად, რომლებსაც არ შეუძლიათ გადაწყვიტონ მოსახლეობის წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რაც ამცირებს ნდობას და აძლიერებს ნიჰილიზმს ამ ინსტიტუტის მიმართ. თვითმმართველობის ორგანოების მიმართ ნდობის შემცირება მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია თვითმმართველობის რეალური სისტემის ჩამოყალიბებისთვის. რეალური თვითმმართველობა კი დემოკრატიული პროცესების განვითარების მთავარ საფუძველს წარმოადგენს.

არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე განსაზღვრულ იქნა ამ პროექტის მთავარი მიზნებიც:

– სამიზნე მუნიციპალიტეტების თვითმმართველობის ორგანოების პოტენციალის გაძლიერება ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მოსახლეობის დასაქმების, სიღარიბის დაძლევისათვის;

– თვითმმართველობის ორგანოების პოტენციალის გაძლიერება გადაწყვეტილების მიღებისათვის მუნიციპალურ ფინანსებთან დაკავშირებით, სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტური ფინანსური პოლიტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

– თვითმმართველობის ორგანოების მიე მოსახლეობის მომსახურების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა;

– სამიზნე მუნიციპალიტეტების თვითმმართველობის ორგანოების მიმართ მოსახლეობის ნდობის, ამ ორგანოების ავტორიტეტის ამაღლების ხელშეწყობა.

– რა გზებით აპირებთ დასახული მიზნების მიღწევას? რა საქმიანობები იქნება განხორციელებული პროექტის მიმდინარეობის პერიოდში?

– პროექტის მიზნების მიღწევას ორი ძირითადი გზით ვაპირებთ. პირველი გზა პირდაპირ არის მიმართული სამიზნე მუნიციპალიტეტების ტექნიკური და საოპერაციო შესაძლებლობების ამაღლებისკენ, რომელიც ხელს შეწყობს ხედვების ჩამოყალიბებას, კონკრეტული სამოქმედო გეგმების, პროგრამებისა და პროექტების შემუშავებას მუნიციპალიტეტების განვითარებისათვის საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში.

მეორე გზა კი მიმართულია სამიზნე მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების დაგეგმარების მეთოდების სრულყოფისაკენ, მათი მიზნობრიობისა და ხარჯთეფექტურობის ამაღლებისკენ, მოსახლეობისთვის მუნიციპალური სერვისების სახეობების განსაზღვრისა და მათი რეალიზაციის სისტემების ჩამოყალიბებისკენ.

– ბატონო ლევან, როგორ ფიქრობთ , რამდენად არიან მზად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მსგავსი პროექტის განხორციელებისთვის?

– ამ კითხვაზე ცალსახა პასუხის გაცემა რთულია. მზაობა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც კრებითი ცნება ანუ ცალკეული კომპონენტების ერთობლიობა. პირველი კომპონენტი ალბათ ეს არის ისეთი ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობის გათავისება, რომლებიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტების ეკონომიკურ განვითარებას, ინვესტიციების მოზიდვას, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ასეთი გაგება არსებობს და მუნიციპალიტეტები მზად არიან განახორციელონ გარკვეული ქმედებები ამ მიმართულებით.

მეორე კომპონენტად განვიხილავდი მზაობას იმისათვის, რომ კარდინალურად შეიცვალოს მუნიციპალიტეტების მუშაობის პრინციპები. ანუ მისი ყველა რესურსი და საშუალება ფოკუსირებულ იქნეს იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რაც მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებას ესაჭიროება. აქ მოიაზრება ყველა მიმართულება – მუნიციპალური ბიუჯეტების დაგეგმვის პრინციპები, საკადრო პოლიტიკა, ინფრასტრუქტურა, ეკოლოგია, განათლება, მინათსარგებლობა, მუნიციპალური სერვისები და სხვა მიმართულებები. ეს არის საკითხების კონგლომერატი, რომელიც განანილებულია თვითმმართველობას, სხვადასხვა დონის სახელმწიფო უწყებებსა და ორგანიზაციებს შორის. მათი გადაწყვეტა მოითხოვს ბევრ შეთანხმებას, საქმიანობათა კოორდინაციას, ერთობლივი სამოქმედო გეგმების შემუშავებას. ჩემი აზრით, მზაობა ასეთი მასშტაბური საქმიანობებისთვის ჯერჯერობით არ არსებობს, მაგრამ მის გარეშე წარმოუდგენელია მნიშვნელოვანი შედეგის მიღება.

მესამე და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი გახლავთ ის, რომ უნდა ამაღლდეს მუნიციპალიტეტების პასუხისმგებლობა იმ პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაზე, რომელიც აუცილებელია მათი სოციალურ—ეკონომიკური განვითარებისათვის. ასეთი პასუხისმგებლობის ალბა კი უკავშირდება პოლიტიკურ გარემოს, რომელშიც თვითმმართველობის ორგანოებს უხდებათ არსებობა და მუშაობა. ანუ ქვეყანაში უნდა არსებობდეს პოლიტიკური ნება იმისათვის, რომ თვითმმართველობის ორგანოებმა თვითონ განსაზღვრონ თავიანთი მომავლის ორიენტირები და განახორციელონ გეგმაზომიერი საქმიანობა ამ ორიენტირების მიღწევისათვის.

– პროექტის განხორციელებისას მოგიწევთ თუ არა რაიმე სახის წინააღმდეგობების (რისკ-ფაქტორების) გადალახვა?

– ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტები გარკვეულწილად რისკ-ფაქტორებსაც შეიძლება მივაკუთვნოთ. დამატებით შემიძლია აღვნიშნო ერთი ფაქტორი, რომელიც ზოგიერთი მუნიციპალიტეტის ნამყვან სპეციალისტებთან საუბრის დროს გამოიკვეთა – ამ სპეციალიტთა დაბალი მოტივაცია. დაბალი მოტივაციის ძირითად გამომწვევ მიზეზად კი ყოველთვის დაბალი ანაზღაურება და არასწორი საკადრო პოლიტიკა სახელდება. ანუ როდესაც კადრების დანნაურება ხორციელდება არა კვალიფიკაციისა და შესაძლებლობის მიხედვით, არამედ პირადი მეგობრობისა და ნათესაობის საფუძველზე.

– როგორ ფიქრობთ, პროექტის რეალიზაციის შემდეგ რა მნიშვნელოვანი შედეგები იქნება მიღებული?

– პროექტის განხორციელება ფრიად მნიშვნელოვანი შედეგების მომტანი იქნება სამიზნე მუნიციპალიტეტებისთვის, კერძოდ:

– შეიქმნება მუნიციპალიტეტების განვითარების სტრატეგიული გეგმები, რომლებიც ხელს შეუწყობს მიზანმიმართული, ეტაპობრივი საქმიანობების განხორციელებას მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის;

– ჩვენი რეგიონის რეალობაში შეიქმნება მუნიციპალიტეტების განვითარების სტრატეგიული გეგმების შემუშავებისა და რეალიზაციის პრეცედენტი და ჩამოყალიბდება შესაბამისი პრაქტიკა, დაინერგება ტერიტორიების მარკეტინგის თანამედროვე მეთოდები;

– გაიზრდება სამიზნე მუნიციპალიტეტების საინვესტიციო მიმზიდველობა. ჩამოყალიბდება ხელსაყრელი საინფორმაციო გარემო ინვესტიციების მოზიდვისთვის;

– ამაღლდება ადგილობრივი ბიუჯეტების მიზანმიმართულობა და ეფექტურობა. შეიცვლება მუნიციპალური ბიუჯეტების ფორმირების წესი – „ხარჯების აღრიცხვიდან" მუნიციპალური სერვისების დაფინანსების პრინციპებზე გადასვლის საშუალებით;

– პრაქტიკულად დაინერგება მუნიციპალური სერვისებისთვის სტანდარტების შემუშავებისა და ამ სტანდარტების საფუძველზე მუნიციპალური სერვისების რეალიზაციის პრაქტიკა;

– ამაღლდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობის ხარისხი;

– დაინერგება მოსახლეობისა და ბიზნესსექტორის დღეისათვის არსებული საჭიროებების შესაბამისი მომსახურების სისტემები, რაც აამაღლებს თვითმმართველობის ორგანოების ავტორიტეტს, გაზრდის მოსახლეობის ნდობას ამ ინსტიტუტისადმი.

სტრატეგიული დაგეგმვის არსი და მისი მნიშვნელობა მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საბაზრო სისტემაზე გადასვლის თანამდევ პროცესს წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის როლისა და მნიშვნელობის გაზრდა, რაც გამოიხატება მუნიციპალიტეტების დამოუკიდებელი განვითარებისთვის ფართო უფლებებისა და შესაძლებლობების გადაცემაში, საკუთარი პრობლემებისა და საკითხების გადაწყვეტისას მუნიციპალიტეტების პასუხისმგებლობის ამაღლებაში.

მუნიციპალიტეტები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ბუნებრივ-კლიმატური და ისტორიული თავისებურებებით, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით, საქმიანობის პროფილითა და სპეციალიზაციით. ამ განსხვავებების აღრიცხვის მეცნიერული დასაბუთების, ადგილობრივი თვითმმართველობის მეცნიერულ-მეთოდური საფუძვლების, აქტიური ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვის გარეშე შეუძლებელია მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევა და ეფექტური სამეურნეო მართვის სისტემის ჩამოყალიბება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მუნიციპალიტეტების მდგრადი და დინამიკური განვითარების სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური ბაზის შექმნას.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებებს ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში განეკუთვნება:

- თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;
- იურიდიული პირების შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების მართვა და განკარგვა კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;
- თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება, ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება;
- ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება, მათი განაკვეთების დადგენა კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობების ფარგლებში;
- ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება;
- მინათსარგებლობის დაგეგმვა, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ზონებად (გამწვანების, დასვენების, სამრეწველო, სავაჭრო და ა.შ.) დაყოფა, მათი საზღვრების დადგენა და შეცვლა;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ტყისა და წყლის რესურსების მართვა;
- კანონით დადგენილი წესით მშენებლობის ნებართვის გაცემა, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ფარგლებში მიმდინარე მშენებლობაზე ზედამხედველობა;
-ადგილობრივი სამგზავრო გადაზიდვების რეგულირება;
-გარე ვაჭრობის რეგულირება;
-გარე რეკლამის განთავსების რეგულირება;
-დასაბლებებში ქუჩების დასუფთავება, განათება, სანიაღვრე მეურნეობის, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და უტილიზაციის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და განხორციელება ან მათ განხორციელებაზე მუნიციპალური შესყიდვის ორგანიზება;
-ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვა, მშენებლობა და განვითარების უზრუნველყოფა;
-თვითმმართველი ერთეულის მუნიციპალური პროგრამებისა და გეგმების დამტკიცება;
-კანონმდებლობის შესაბამისად თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში რესურსების მობილიზება, შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება, განხორციელება და მოსახლეობის ინფორმირება.

ზაზა გორგაძე

გარდა სამართლებრივი ბაზისა თვითმმართველობის ეკონომიკური საფუძვლის შექმნისა და აქტიური ადგილობრივი პოლიტიკის წარმართვისათვის აუცილებელია მუნიციპალური დაგეგმვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება. მუნიციპალური გეგმები განსაზღვრავენ მუნიციპალიტეტების განვითარების მიზნებს, ამოცანებსა და ორიენტირებს, აგრეთვე მათი მიღწევისა და რეალიზაციის მექანიზმებს.

დაგეგმვა – ეს არის საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია მიზნების, ამოცანებისა და მოქმედებების დასახვასთან მომავალში. დაგეგმვა არის მკაფიო წარმოდგენა იმისა, თუ რა და რა დროში უნდა გაკეთდეს დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად შიდა და გარე ფაქტორების ცვალებადი ურთიერთქმედების პირობებში.

მუნიციპალური განვითარების გეგმები, მათი განხორციელების ვადების მიხედვით, განსხვავდებიან:

- სტრატეგიული გეგმა – არანაკლებ 15 წელი;
- გრძელვადიანი გეგმა – 10 წელი;
- საშუალოვადიანი გეგმა – 5 წელი;
- მიმდინარე (წლიური) გეგმა.

სტრატეგიული დაგეგმვა მუნიციპალიტეტის დონეზე – ეს არის მუნიციპალიტეტის მიერ საკუთარი განვითარების სტრატეგიული პრიორიტეტების, ძირითადი სტრატეგიული მიზნებისა და მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრის პროცესი ხელისუფლების, ბიზნესსრეკებისა და მოსახლეობის შეთანხმებული მოქმედებების საფუძველზე.

სტრატეგიული გეგმა – არის დოკუმენტი, რომელშიც ჩამოყალიბებულია შეხედულებათა სისტემა, რომელიც განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გრძელვადიან (15-20-წლიან) პოლიტიკას ეკონომიკისა და სოციალური სფეროს სხვადასხვა მიმართულებების კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად, რომელიც თანხვედრაში უნდა იყოს მუნიციპალიტეტის ბიზნეს და სამოქალაქო საზოგადოების ინტერესებთან. სტრატეგიულ გეგმაში უნდა ჩამოყალიბდეს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, ასევე მოქმედებათა სისტემა მათი განხორციელებისთვის მუნიციპალიტეტში არსებული რესურსის პოტენციალის მობილიზაციისა და გარე რესურსების მოზიდვის საფუძველზე.

სტრატეგიული დაგეგმვა არის მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებული მუნიციპალური მართვის ელემენტი, რომელიც გამოიყენება ყველა განვითარებულ ქვეყანაში და განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში.

სტრატეგიულ დაგეგმვაზე გადასვლა ნიშნავს უარის თქმას მხოლოდ ერთნლიან (მიმდინარე) დაგეგმვაზე, რომელიც დამახასიათებელია მუნიციპალიტეტებში დღეს არსებული სიტუაციისთვის. მიმდინარე, ასევე საშუალო და გრძელვადიანი გეგმები უნდა ემყარებოდეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ ხედვას. ეს ნიშნავს, რომ მიმდინარე გადაწყვეტილებები მიღებულ უნდა იქნას სტრატეგიული მიზნების გათვალისწინებით, პერსპექტიული განვითარების გეგმიდან გამომდინარე.

სტრატეგიული გეგმის შემუშავება და რეალიზება ხდება საჯაროდ, სახელმწიფო, ბიზნეს და საზოგადოებრივი სექტორების პარტნიორობის საფუძველზე. მისი მონაწილეები არიან მუნიციპალიტეტის ხელისუფლება, საზოგადოება და მოსახლეობა, მუნიციპალიტეტის მსხვილი და გავლენის მქონე საწარმოები.

მუნიციპალიტეტის ხელისუფლება სტრატეგიული გეგმის შემუშავების საშუალებით იღებს ბიზნესთან და საზოგადოებასთან რეგულარული ღია ურთიერთობის მექანიზმს, ასევე უკუკავშირის მექანიზმს, რომელიც საშუალებას იძლევა, ხელისუფლების მოქმედება წარიმართოს საზოგადოების მიერ აღიარებული მიზნებისა და მიმართულებების გათვალისწინებით;

მოსახლეობას, საზოგადოებას ეძლევა შესაძლებლობა, უშუალო მონაწილეობა მიიღოს სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში პროფესიული და საზოგადოებრივი განხილვის ფარგლებში, რაც საშუალებას აძლევს მას, ერთი მხრივ, გავლენა იქონიოს განვითარების პრიორიტეტებისა და მიმართულების არჩევაზე, ხოლო მეორე მხრივ, მოახდინოს საკუთარი შემოქმედებითი და მოქალაქეობრივი პოტენციალის რეალიზაცია;

ბიზნესსექტორი იღებს შესაძლებლობას, დაასაბუთოს მის მიერ წარმოდგენილი სფეროების პრიორიტეტულობა და გათვლა გააკეთოს მუნიციპალიტეტის ხელისუფლებასთან ერთობლივი მოქმედებების განხორციელებაზე. გარდა ამისა სტრატეგიული გეგმის შემუშავება და რეალიზაცია სანარმოებისთვის არის დიალოგის საშუალება საქმიან პარტნიორებთან მუნიციპალიტეტის, რეგიონისა და ქვეყნის, ასევე საერთაშორისო მასშტაბით.

საზოგადოების ჩართულობის ხარისხის მიხედვით განასხვავებენ სტრატეგიული გეგმის შემუშავების სამ სხვადასხვა მეთოდს:

დემოკრატიული, რაც ითვალისწინებს სტრატეგიულ დოკუმენტზე მუშაობის დაწყებისთანავე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი, აღმასრულებელი ორგანოების თანამშრომლებისა და მონვეული პროფესიონალების გარდა ბიზნესის, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოსახლეობის ჩართვას ერთობლივი მუშაობის პროცესში ხელისუფლებას, ბიზნესსა და მოსახლეობას შორის კონსენსუსის მიაღწევად;

პრაგმატული – ეს მეთოდი გულისხმობს სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენელთა და პროფესიონალთა ჯგუფის მონაწილეობას, ხოლო შეთანხმება მიიღწევა ბიზნეს-სექტორთან, სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა ფენებთან მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ მიზნებზე, ამოცანებსა და გზებზე მრავალრიცხოვანი ორმხრივი და მრავალმხრივი შეხვედრების საფუძველზე. შესაბამისად კონსენსუსი ამ მეთოდის გამოყენებისას მიიღწევა არა მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში, არამედ მუნიციპალიტეტის განვითარების კონცეპტუალურ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების სტადიაზე;

ადმინისტრაციულ-ტექნოკრატიული – ამ დროს საზოგადოების ჩართულობაზე, რაიმე კონსენსუსის მიღწევაზე საუბარი საერთოდ არ მიდის. სტრატეგიული გეგმის შესახებ მასზე მომუშავე პირებს შორის არსებობს მცდარი წარმოდგენა, თითქოს ის არის წმინდა წყლის ადმინისტრაციული ან სამეცნიერო ხასიათის დოკუმენტი. ეს მეთოდი დღესდღეობით საზოგადოების მიერ ძალიან უარყოფითად აღიქმება და პრაქტიკულად აღარ გამოიყენება.

სტრატეგიული გეგმის შემუშავება უნდა განხორციელდეს მუნიციპალიტეტში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე, რომელიც მიმართულია მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი მახასიათებლების, მისი განვითარების მთავარი პირობების, კონკურენტული უპირატესობებისა და ნაკლოვანებების, ეკონომიკის პროფილური სექტორებისა და იმ საწარმოების გამოვლენაზე, რომელთაც განვითარების ყველაზე დიდი პერსპექტივები გააჩნიათ და მუნიციპალიტეტის ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენენ.

სტრატეგიული გეგმის შემუშავება უკავშირდება შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემას:

- როგორია მუნიციპალიტეტის ეკონომიკის, სოციალური სფეროს არსებული მდგომარეობა გეგმის შემუშავების დაწყების მომენტისათვის?
- რა რესურსული (ბუნებრივ-კლიმატური, რეკრეაციული, ფინანსური, მატერიალური, ინტელექტუალური და ა.შ) პოტენციალი გააჩნია მუნიციპალიტეტს?
- რა მიზნებს ისახავენ მუნიციპალიტეტის მმართველობითი ორგანოები ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარებაში, მოსახლეობისა და ბიზნესსტრუქტურების აქტიური მონაწილეობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით?
- რა ღონისძიებების გატარებაა საჭირო დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად? რა რესურსების მობილიზებაა ამისათვის საჭირო და რომელი წყაროებიდან?

სტრატეგიული გეგმის შემუშავება მოიცავს რამდენიმე ეტაპს:

1. ორგანიზაციულ-მოსამზადებელი ეტაპი

ამ ეტაპზე იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უნდა შეიმუშაოს გეგმა. სამუშაო ჯგუფი ყალიბდება ძირითადად თვითმმართველობის ორგანოების, უპირველეს ყოვლისა, აღმასრულებელი ორგანოს – გამგეობის სხვადასხვა სამსახურების თანამშრომელებისაგან. სამუშაო ჯგუფში ასევე შედიან მუნიციპალიტეტის ბიზნესსექტორის, საზოგადოების, ასევე სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, სხვადასხვა სფეროს გამოცდილი სპეციალისტები და ექსპერტები. სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს დებულებას, სამუშაოების კალენდარულ გეგმას, განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს თითოეული სამუშაოს მიხედვით, მოსახლეობისა და ბიზნესსრეკების ჩართულობის ფორმებს.

გაგრძელება ჩანართის შემდეგ ნომერში

ზაზა გორგაძე, ეკონომიკის ექსპერტი

საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: გურანდა შაინიძე

საგაზეთო ჩანართი გამოიცემა პროექტის "აჭარის რეგიონის თვითმმართველობის ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის" ფარგლებში

საგაზეთო ჩანართი „ინტელექტი“
მისამართი: ბათუმი, აღმაშენებლის ქ.№13
ტელ.: 41650, ფაქსი: 41640
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებგვერდი: www.intellect.org.ge